# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 381 — კვირა, 19 თებერვალი 1906 წ. — გაზეთის № 3007


### დიდებული ადვოკატი

მოთხრობა ო. მირბოსი.

ხანდახან ჩემ გვერდით ზანაობს ადვოკატი დე-ბუი, რომლის ბაასიც მსახურთან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის:

— მე არ შემიძლია შევეხო... ჩემზე უფრო მცოდნე პირნი... და მე დავუმატებ... ჩემი ვანა ცივია... და მე დავუმატებ... გოგირდიც აკლია... ისტორიის შესანიშნავი წამია... და თუ ნებას მომცემენ... კაცობრიობის წინ-სვლა... ჯარის სახელი... მწერლები... შეუძლებელია...

ამისთანა ხელი-ხელ საგოგმანებელი სიტყვა მრავალი მესმის. დე-ბუი ჩვეულებრივ პირობებშიაც-კი ორატორია... და მჭევრ-მეტყველობას არა ღალატობს.

ამ შეხვედრის გავლენით მე გამახსენდა დავიწყებული წარსული... პირველად დე-ბუი გავიცანი მაშინ, როცა ირჩეოდა „სპილენძის საზოგადოების“ საქმე. როგორც სხვა მრავალი პროცესი, ეხლა ესეც მივიწყებულია.

### ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ



გუთანზე.

ცნობილი ადვოკატი დე-ბუი თავის ბურთივით მრგვალ და მოტვლეპილ თავით იცავდა ერთ-ერთ დამნაშავეს. მომყავს იმისი სიტყვა:

„ბატონებო! ჩვენ გვისაყვედურებენ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გვაბრალებენ, სპილენძის მითვისებას... დიაღ, ბატონებო, სპილენძის მითვისებას! (სარდონიულად) ახირებული ბრალია! (წელში გაიმართება და ბრალმდებელს პირდაპირ თვალებში შეხედავს) საშინელი და გონება დამკარგავი ბრალია. არა ბატონებო? მაგრამ მე ერთი სიტყვით, ერთი უბრალო სიტყვით (ქაღალდებით სავსე პორტფელს ხელსა ჰკრავს)... დიაღ ერთი სიტყვით ბოლოს მოვუღებ, (მოაჯირზე ღონივრად დაჰკრავს ხელს) გავანადგურებ... განვფანტავ, ვითქვამლს, ჩვენ მოწინაამდეგეთა უმნიშვნელო საბუთებს, ესე რედ წოდებულ მოსაზრებებს... ბრალმდებელის მხრით შეკრებილთ ჩვენის რწმუნებულის გასამტყუნებლად... (უცებ დაშვიდდება. მცირე შედარება საკმაო იქნება... (შეჩერდება. აქეთ-იქით გაქანდება, მოიკრებს სახელოებს, სალოკ თითს მაღლა აიღებს, მოაჯირზე გადაიხრება) ბატონებო.... (ნელისა და ტკბილის ხმით) მხვნელი... (უფრო მაღლა და ბეჯითად) მიწის მუშა... (გატაცებით) მთესელი... (აღელვებულის ხმით) გლეხი... (შეჩერდება, სალოკი თითით რაღდენსამე რკალს გააკეთებს), რომელიც პურსა სთესავს... რომელიც პურსა მკის... რომელიც ყანას ლეწავს... რომელიც ხორბალს ორმოში ჰყრის... (ამ დროს მისი ხმა, რომელიც აქამდის სჭექდა და ქუხდა, უცებ დაბალ ფარდებში დაიწევს) დიაღ, ბატონებო, ნუ თუ შესაძლებელია... (იმავე დაბალის ხმით) რომ ეს გლეხი... ეს მთესავი... ეს მიწის მუშა... ეს მხვნელი... რომელიც პურსა სთესდა... რომელიც პურსა მკიდა... რომელიც ყანას ლეწავდა... რომელიც ხორბალს ორმოში ჰყრიდა... დიაღ, ბატონებო, მე ვეკითხები ყველა პატიოსან კაცს, ნუ თუ შესაძლებელია ამ მიწის მუშამ... ამ მთესველმა... ამ მხვნელმა... ამ გლეხმა... მიითვისოს ის პური, რომელსაც სთესავდა... რომელსაც მკიდა, რომელსაც ორმოში ჰყრიდა?.. ის პური მისი ოფლია — და ნება მიბოძეთ უშიშრად ვაღვიარო, მისი სისხლი! არა!... ბატონებო... (ამ დროს ადვოკატის ხელი განუწყვეტლივ ადის და დადის და მოაჯირსა სცემს ჩაქუჩსავით) ამისი თქმა შეუძლებელია... ამას ვერავინ იტყვის... ვერ გაბედავს... (შეჩერდება ამ დროს შუბლს მოიწმინდავს, ნიდაყვებს აქეთ-იქით გაიწევს და ორივე ხელს გულში ჩაიკრავს) იმიტომ, რომ ეს კარგად დაიხსომეთ ბატონებო, სამართლით, ზნეობით, და, ზედ დავუმატებ, კანონით... დიახ, ბატონო ბრალდებულო, კანონით! ეს გლეხი... ეს მთესავი... ეს მხვნელი... ეს მიწის მუშა... რომელმაც დასთესა თავისი პური... და სხ. და სხ.

ასე ილაპარაკა დე-ბუიმ ორი დღის განმავლობაში... და გავლენა მჭევრმეტყველობისა ისეთი დიდი იყო, რომ ის გლეხი ის მხვნელი... ის მთესავი... ის მიწის მუშა დასასრულ გამოირკვა... და ისეთი სახე მიიღო, რომ მთელი დარბაზი სამსჯავროსი დაიპყრა. მიწის მუშის გარდა ყოველისფერი განქრა — სპილენძი თითქო ქვეყანაზე არცა ყოფილა და არც არავის მოუპარავს.

მსაჯულები დაიმორჩილა. ადვოკატები, გატაცებულნი და აღფრთოვანებულნი თავის ამხანაგით, დერეფანში უზიარებდნენ ერთმანერთს შთაბეჭდილებას. ყოველ მხრიდან გესმოდათ ამავე საგანზე ლაპარაკი:

— არა, შესანიშნავი... უკეთესი სიტყვა გაგიგონიათ სადმე?

— არას დროს!.. დაგვიბრუნდნენ დიდებული დღენი ბერიესი... ბრწყინვალე წამები ჟულ ფავრისა...

— თქვენ ისა ბრძანეთ, როგორ განმარტა საკითხი! უკეთესს კაცი ვერ წარმოიდგენს!.. ბრალმდებელი ნახეთ! შეამჩნიეთ! კაი გუნებაზე ვერ იქნება...



ფარცხვა.

დამშვიდებულმა ბრალდებულებმა ბრალმდებელის გარეგნობა მიიღეს...

რამდენიმე კვირის შემდეგ დე-ბუი ადვოკატების კორპორაციის თავმჯდომარედ აირჩიეს.



ყანაში მომუშავე ბაჭები.

# დ ე დ ე ბ ი

მოთხრობა ა. აჭარონიანისა

(შემდეგი*)

## III

იმ ღამეს... ოჰ, ამ შემოდგომის ღამეებს თავიანთ ბნელ ნაოჭებით რად მოაქვთ ხოლმე იმდენი შავი, გამოურკვეველი და სულის შემაუთავი გრძნობები?!

გარედან ისმის ხმა წვიმისა, რომელიც წვრილად სცრის ბანებსა და კედლებიდან წყალი გამუდმებით ჩამოდის და გააქვს მოსაბეზრებელი „ჭფ", „ჭფ", „ჭფ!.." გარედ, ბნელ ქუჩებში დიდი ხანია აღარავინ დადის. ანკი ვინ გაივლის ამისთანა ამინდში!

სუსანას ჯერ კიდევ ღვიძავს. ზის და ფიქრობს თავის საქუაზე: სად არის ეხლა, რომელ მთაში, რომელ ხევში,



ყანის მკა.

რომელ გამოქვაბულში. ან იქნებ კლდის ქვეშა ზის მობუზული: მთებში ეხლა ისე ცივა. შეიძლება ისიც გაწუწულია, ცეცხლი არა აქვს. როგორ აანთოს? ისინი ცეცხლს არ ანთებენ, იმათ რომ ცეცხლი აანთო, ამბობენ, კარგი დღე არ დაადგებათ... ვინ იცის, ეხლა, ამისთანა ღამეში, როგორა სცივა საქუას!

„ოჰ, შვილო, შენ შემოგევლე! დედაო ღვთის მშობელო, შენთვის ჩამიბარებია ჩემი ნუგეში, შენ ჰფარვიდე!.. ვინ იცის, იქნება საქუა მთებში არ არის,—განაგრძობდა ფიქრს სუსანა:—შეიძლება ეხლა მოდის კიდეც. ცუდი ღამეა, მაგრამ მოსვლა მაინც შეუძლიან, ვაჟკაცი, მთის ვაჟკაცი, რომ უნდოდეს, მოვა"...

იმ დღეს სუსანამ მაწანწალა ბოშას აკითხვინა. ბოშამ უთხრა:

— მთებში შეფარებული არწივი ამ დღეებში ქვევით ჩამოფრინდებაო.

*) იხ. „დამატება" № 380

— მერე?

— მერე?..—ბოშა დააცქერდა თავის ფჩხილს, გაჩერდა დაფიქრებული, წაბარბაცდა. —მერე...—განაგრძო მან,—მერე კიდევ ზევით ავა...

„ბოლო სიტყვები ცუდის მომასწავებელია,—ფიქრობდა სუსანა.—მთებში შეფარებული არწივი ქვევით ჩამოფრინდებაო ეს კარგია. მერე კიდევ ზევით ავაო, რა იქნებოდა, რომ დაწყევლილს ეს ბოლო სიტყვები არ ეთქვა! მაშ საქუა მოვა და მერე ისევ წავა".

ასე სხნიდა სუსანა ბოშას სიტყვებს.

— ჰო, ჰო, მოდი, ჩემო არწივო, ქვევით ჩამოდი, ერთი გნახო, რომ ცოცხალი ხარ, ერთი გაკოცო მშვენიერ შუბლზე, ჩემი სახე შენ სახეს მივაკრა, შენი თავი გულში ჩავიკონო, დაბრმავებული თვალები შენის ყურებით გავაძღო, და მერე ისევ წადი, თუ გინდ მთებში, ხევებში. დეე, დედა ღვთის მშობელმა შეგინახოს, შვილო! რაკი მიდიხარ, მე შავბნელს რა შემიძლიან; შენ ხომ არწივი ხარ, ბოშამა სთქვა არწივი შვილიო.



ყანაში მომუშავენი.

გარედ სამარისებური სიჩუმე იყო. ძაღლებიც-კი არიყეფებოდნენ, წვიმას გაჰქცეოდნენ, დამალულიყვნენ თივის ძირში და კარების წინ მოკუნტულიყვნენ. წვიმა-კი ისევ ისესცრიდა, ისევ ისე მოისმოდა მომაბეზრებელი „ჭფ!" „ჭფ!" „ჭფ"!..

ბოროტი, ცუდი ღამეა, მაგრამ სუსანა მაინც ელის შვილს. ბოშამა სთქვა, არწივი ქვევით ჩამოფრინდება და კვლავ მაღლა აფრინდებაო...

„დეე ქვევით ჩამოფრინდეს და მერე ისევ აფრინდეს, თუ არა სტკივა რა, ჭირი არ აწუხებს მაინც..."

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ...—მოისმა ეზოს კარის კაკუნი. ბოლარამ დაიყეფა და გაქანდა კარებისკენ.

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ...

სუსანა შეხტა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა თუმცა თითონაც არ იცოდა-რად. ერთ წუთს გაშეშებული იყო, თითქოს დალურსმულიაო. მთლად სმენად გადაიქცა. იდგა პირღია; სულ განაბული. ესმოდა, ძაღლი როგორ გააფთრებული ფხაჭნიდა. კარებს და გარედან როგორ აკაკუნებდნენ.



გალეწილის მოგროვება



პურის ანიავება.

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ...

ბოლოს სუსანამ ოთახის კარი გააღო და გარეთ გავიდა ეზოში. წვიმა თავზე ჩამოსდიოდა, მაგრამ იგი კანკალით, ხვნეშით, ტლაპოებში რყევით და ტანჯვით მაინც მირბის ჭისკრისკენ. სიჩქარისგან ფეხები კაბის ბოლოებს ედება და ტალახში პირქვე ეცემა. მთლად გაწუწულია, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს, ფეხზე დგება და კვლავ მირბის. აჰა, ჭისკარიც.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, ბოლარ! ის არის, ის! გაჩუმდი, შე საძაგელო! გამიშვი, რომ კარები გავაღო.—ახლა კარები აღარ იღება: ხელები უკანკალებს, გული უძაგძაგებს, ასე ჰგონია, მკერდიდან გადმოვარდნას აპირებსო.

ბოლოს კარები ჭრიალით გაიღო. ბნელაში იმის წინ იდგა ადამიანის აჩრდილი. ძლივს ამჩნევდა უკუნეთ ღამეში.

— ვინ არის?.. შენ ვინა ხარ?..

— მე... მე ღვთის გაჩენილი ადამიანი ვარ... უვნო და უვარგისი. სიცივისაგან მაკანკალებს, გაწუწული ვარ,



სიმინდის თოხნა.

შორიდან მოვდივარ... დამიგვიანდა, წვიმის ქვეშ დავრჩი, მთებში შემომიღამდა, ძლივს მოვაღწიე აქამდე. ადამიანი ვარ, ღვთის გაჩენილი... მიყურე, ვკანკალებ, ცეცხლი გექნებათ, მიშველეთ, ღვთის გულისთვის!..

— ღვთის გულისთვის...—გაიმეორა სუსანამ თავისდაუნებურად, ერთ წუთს გაჩუმდა, მერე იმედ გადაწყვეტილმა და გაჯავრებულმა ტუჩები მოკუნიტა, თან დუდუნებდა.

— ის არ არის, ის არ არის... ოჰ, უწყალო ადამიანო!

— ბოროტი ღამეა,—განაგრძო უცნობმა:—საწყალ კაცს ალაგს ვინ მისცემს: რამდენი კარები დამიკაკუნებია, გამღები არავინ იყო. ეშინიანთ, უვარგისი ადამიანი ვარ, მაგრამ მაინც ეშინიანთ... რა უყო, მეც ღვთის გაჩენილი ვარ.

— ღვთის გაჩენილი... ჰო, ადამიანები სულ ღვთის გაჩენილები არიან...—სთქვა სუსანამ, მაგრამ ფიქრი-კი ხხვაგანან ჰქონდა. კინაღამ არა სთქვა: „უწყალო, უღმერთო ადამიანო! შენ უავარგისი ხარ, მაგრამ უვნო კი არა. მიყურე რამდენი ვნება მომაყენე; გულის ძაფი გამიწყდა, ფეხები მიცახცახებს, ვღუნდები, ვკვდები... ვის მოველოდი და ვინ მოვიდა. გცივა? მერე, შენ თუ გცივა! გაწუწული ხარ? კარგია რომ გაწუწული ხარ, შენზე ახია, შენ გამტანჯე... მთებში არის ერთი ვინმე, შენა გჯობია, ისიც გაწუწულია და იმასაც სცივა, მაგრამ ამ ჯოჯოხეთ ამინდში არავის კარს არ უკაკუნებს“. სუსანა ფიქრობდა ყოველსავე ამას, უნდოდა ხმა მაღლა ეთქვა, დაეყვირნა, უნდოდა კარები მაგრა მიეჯახა მგზავრის წინ, გარეთ დაეტოვებინა, რომ ეცახცახნა სიცივისაგან, მაგრამ ვერ შესძლო, ნაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანა.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო.

— მგზავრის პატრონი ვარ, შენც მგზავრი ხარ, შემოდი!—სთქვა ბოლოს სუსანამ.

— დედა ღვთის მშობელმა გადმოხედოს ყოველ მგზავრს!.

— ჰო, დედა ღვთის მშობელმა უშველოს მგზავრს... გაჩუმდი ბოლარ, გაჩუმდი, ნუ ჯავრობ!. რა ვუყოთ, ღვთის გაჩენილია, საბრალო, გაჭირვებულია,. დედა ღვთის მშობელო უშველე ჯერ-ჯერ ყველა გაჭირვებულს, გატანჯულს და შემდეგ იმას! დუდუნებდა მოხუცი და ტლაპოებში მძიმედ მიაბიჯებდა, უცნობიც უკან მისდევდა.

— სახლში შევიდნენ. ზეთის ჭრაქი პრიალებდა. სუსანა



თიბვა.

მობრუნდა და უცნობს შეხედა. მოხუცი იყო, თეთრის თმით და წვერით. უბრალო ტანისამოსი ერთიან გაწუწული ჰქონდა, ბოლოებიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, სიცივისაგან მთელის ტანით ცახცახებდა. ცალ მხარეზე ეკიდა პარკი ნახევრად პურით სავსე, მეორე-კი—გრძელი რამ, რომელიც ჩანგურს ჰგვანდა. სუსანა ყურადღებით ათვალიერებდა,

— შენ აშუღი ხარ?—ჰკითხა სუსანამ.

— არა, დედილო, აშუღი არა ვარ, მჩეჩავი ვარ, დავხეტიალებ სოფლიდან სოფლად, კარის-კარს, ვჩეჩავ მატყლსა და ბამბას, ვინც იძლევა. ესეც აშუღობაა, დედილო! აი, უყურე ვარტყამ ამ სიმს,—მან უჩვენა თავისი იარაღი:—და ისიც ტირის ჩემ დარტყმაზე, ტირილით მატყლსა სწეწავს. ამ ტირილის ფასით შავს დღეებს ვატარებ. რა ვუყო, დედილო, გმირები ჩვენ ვერანა ქვეყანაში სისხლით შეიღებნენ, მე და დავრჩი, მოხუცი, გამოუსადეგარი, კარდაკარ მოხეტიალე. უვარგისი ვარ, დედილო, უვარგისი, ღმერთიც არ იბარებს ჩემ სულს, რომ განვთავისუფლდე.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, შე საბრალო, ღვთის წინააღმდეგ ნუ ლაპარაკობ! იმის გაჩენილში უვარგისი არ არის. რაკი ღმერთმა ინება ამ ქვეყნად შენი გაჩენა, უნდა გაჩუმდე, დაჰუნჯდე და ბედის წერას დაემორჩილო. ეგ პარკი ჩამოიხსენ, გადმოიღე იარაღი, მიდი ცეცხლთან, გათბი და ტანისამოსი გაიმშრალე. გაჭირებულს ყოველთვის უნდა უშველოს კაცმა... დედა ღვთის მშობელმა გადმოხედოს ყოველ გაჭირებულს, იმას, იმასაც მოხედე, იმ მთების არწივს!.. ნეტა როდის მოვა?—ეს ბოლო სიტყვები სუსანამ თავისთვის წარმოსთქვა.

— აგაშენოს, დედილო, აგაშენოს! უფალმა აგისრულოს ყოველი ნატვრა. შენ კერაში ცეცხლი, კიდობანში პური უკლებლად იყოს.

უცნობმა პარკი ძირს დასდო, მხრებიდან იარაღი ჩამოიღო, ცეცხლს მიუახლოვდა და იქ მოიკუნტა, პატარა ხანს უკან ჩასთვლიმა კიდეც. გარედ წვიმა კვლავ სცრიდა და წყალი კვლავ წურწურით ჩამოდიოდა. ბნელი და ცივი ღამე იყო. სუსანა ჯერ კიდევ დიდხანს ფიქრობდა იმაზე, რომელსაც მთებში, გამოქვაბულში სციოდა და აცახცახებდა ამ ბოროტ ღამეს...

— შენ მიხედე, დედაო ღვთის მშობელო, შენ მოწყალებას ნუ მოაკლებ!—დუდუნებდა სუსანა და გული ტკივილისაგან უკვნესოდა...

უ. კ.—სა

(დასასრული იქნება)




(გენერალი დრაგომიროვის აზრი რუსეთის სიხარბეზე. „პ. ზ.“).



რუსეთის კონსტიტუცია

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.